

გაბერკელიძის ზიკრი.

პარასკევი, 15 ოქტომბერი.

ცნობილი ფალოფანის ევროპის ჩემპიონის

პავლა გაბერკელიძის-ქა ზაგორუიკოს

გენეზისი

ჯერ არსად ნახული სანახაობა. მხოლოდ თავისი ბენეფისის დღეს ზაგორუიკო უჩვენებს ხალხს:

ატლანტის საფლავი ანუ კაცი მიწის ქვეშ უპაერთ 15 წუთის განმავლობაში ცირკის არენის შუა ამოთხრილი იქნება 3 არენის სიმაღლის ორმო, რომელშიც ჩაეშვება ზაგორუიკო, რის



შემდეგ ორმოს აავსებენ მიწით. ზაგორუიკო უპაერთ ვასძლებს ორმოში 15 წუთს ყველამ უნდა ნახოს ეს. XX საუკ. ამოცანა. ამას გარდა ზაგორუიკო მონაწილეობას მიიღებს ინგლისურ ბოქსში. ზაგორუიკო უცნობის წინააღმდეგ. ჩემპიონატის გაგრძელება: კიდა-ბენ: 1) მოხალისე მუშა—ზაგორუიკოს წინააღმდეგ. 2) გენე-ალა—მაკაროვის წინააღმდეგ. 3. სანდაროვი — წითელი ნიღაბის წინააღმ.

განცხადება

ბათუმის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს 8 ოქტომბრის დადგენილების თანახმად ბათუმის ქალაქის

საბჭოსთან არსებული საინაო მომრიგებელი კამერა

უქმდება.

იმ პირებს, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ან საქმე აქვთ, შეუძლიათ მიიღონ კამერაში წარმოდგენილი საბუთები ან კამერის დადგენილებათა ასლები ერთი კვირის განმავლობაში აწ. 15 ოქტომბრიდან.

ბათუმი 15 ოქტომბერი.

მხარეში ამ ჟამად საგანგებო მმართველობაა. ექვს და შვიდ ივლისს ბათუმის მიღამოები ანარქიის ზვირთები გორავდა.

ბათუმის ოლქი განწირული ეგონა ყველას, ევროპელები არა ოფიციალად დაგვიტოლდნენ, რომ ჩვენ ბათუმს ვერ მოუვლიდით და ქვეყანას ანარქია—უწყსრიგობას ჩაენათქვეინებდით.

რესპუბლიკის მთავრობამ აღლო აუღო მომენტს და აქ დროებით განსაკუთრებული მართვა—გამგეობა დააწესა. ასე მოიქცა დემოკრატია. მან აქ დაშფუქმებელი კრების წევრი გამოგზავნა საგანგებო კომისარად. დღემდის რაც ვაკედა ის დამაკმაყოფილებელი იმდენად, რამდენადაც ამ საგანგებო მმართველობას დავალებული ჰქონდა მღვრიე წყლების დაწმენდა და ოლქში აღმინისტრაციულ წესრიგის დაშვება. ეს შესრულდებოდა. ოლქი გადარჩა არც დარეგას და ავანტიურულ მიხვეულობას. შეიძლება 7 ივლისიდან დღემდის საგანგებო მმართველობას თავის მოღვაწეობაში ბევრ დეფექტს ურდვენდნ, მაგრამ უდფექტო მხოლოდ მიცვალებულში არიან. საერთოდ ოლქის საგანგებო მმართველობის მუშაობა ღიზელი იყო და თუ რამდენიმე წვრილ—ფეხა მმართველი მას სახელს უტებდა ეს არ უნდა იყოს მიღებული სახელმძღვანელოდ საგანგებო მმართველობის დაფასების დროს. ერთი მახინჯი ყოველ ოჯახს გამოერევა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ყოველი მითქმა-მოთქმა აღმინისტრაციის ბოროტ-მოქმედებაზე თუ მის სასახელო მუშაობაზე შეფასებული და განხილული იქნება სათანადოდ და არც ერთი ბოროტმოქმედი დემოკრატულ მთავრობას დაუტყდელი აუ დარჩება. ჩვენ ვსთქვით, რომ საგანგებო მმართველობა შემოდებული იყო ოლქში შექმნილ განსაკუთრებული პირობების გამო, სა-

განგებო მმართველობა ადვილს დაუთმობს ჩვეულებრივ ადგილობრივ სახალხო მმართველობას, რაც მოხდება საარჩევნო წესით, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ეს შესაძლო იქნება მაშინ, როცა ყველა წყლები დაიწმინდება, გადაცემულ—გადმოცემული ავანტიურისტები მთლად შებოქვილ იქნებიან. მოხდება საარჩევნო აღწერა და მომზადდება საარჩევნო კომპანია.

დღეს დღეობით ჩვენ მადლობა უნდა გადაუხადოთ შემოქმედს, რომ ოლქი დაფარულია არც დარეგის-გან, რასაც სინარულით ელოდა გარეშე მტერი და შინაური ავანტიურისტი!..

აწ ჩვენ უნდა ვმუშაობდეთ არჩევნებისთვის, მმართველობისთვის კაცების გამოჩახვა—დასახელებასთვის, ვითარცა თუ ნამდვილად გვინტერესებს ჩვენ საგანგებო დროებით მმართველობიდან მუდმივ ადგილობრივ მმართველობაში გადასვლა.

კიდავ აპონოვიჩურ პრინსა.

ჩვენ ვავიშარჯვებთ პოლიტიკურ გრონტზე, შევიწარჩუნეთ დამოუკიდებლობა, რევოლიუციით მოპოვებული უფლებები, შევიმუშავეთ იდეალური კონსტიტუცია, შემოვიღეთ დემოკრატული მართვა გამგეობა და სხვა.

დავგრჩა ერთი უდიდესი და უმნიშვნელესი—ეკონომიური ფრონტი.

ამ ფრონტზე არის დამოკიდებული—შევიწარჩუნებთ ჩვენ ყველა იმას, რაც დღემდე პოლიტიკურ სფეროში მოვიპოვეთ თუ არა.

ამ ფრონტზე ბრძოლა მეტად ძნელია. არა თუ პატარა საქართველოს, რომელმაც გუშინ დაიწყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, არამედ ზემპერაზ, ეკონომიურად ღონიერ სახელმწიფოებსაც კი უჭირს ამ ფრონტზე ბრძოლა, მაგრამ არის ზოგიერთი დაინსძიებანი, რომელთა

ცხოვრებაში გატარება ცოტათი მაინც შენელებდა მწვავე ეკონომიურ კრიზისს, რომელიც საშინელი სიმძიმით აწვება საშუალო ქონების მოქალაქეს და მუშათა კლასს.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ფინანსთა სამინისტრომ და მთავრობამ მრავალი ღონისძიებანი გამოიმუშავა, როგორც ფინანსიურ ისე საერთო სახელმწიფოებრივ სფეროში, მაგრამ ადგილობრივად ეს ღონისძიებანი ან სრულიად არ ტარდება ან თუ ტარდება კუს ნაბიჯით.

ორი წლიანხვედრის მუშაობის პროცესში მრავალი ანტი-დემოკრატული, ბურჟუაზიულად-განწყობილ ელემენტები შემოგვგზავნა, მათ შეიტვისეს დემოკრატული და რევოლიუციონური ფრაზიოლოგია, საქმიანობა კი ბურჟუაზიულა შერჩათ. მთავრობის ბრძანებებს და ცირკულირებს, ხალხის საკეთილდღეოთ მიმართულის, ეს ძველი ტიპის მოხელეები ძველებური გულცივიობით ასრულებენ, კვირაობით ინახავენ საქმეებს მაუდის ქვეშ და სხვა.

სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს აღმინისტრაციული და სახელმწიფოებრივი აპარატების გაჯანსაღებაც თამაშობს.

მოხელური ყოფა, დაუდევრობა, საქმისადმი გულგრილად მოპყრობა, უფრო აძლიერებს ეკონომიურ კრიზისს და ჩვენც სწორეთ ამ მხრე ვეინდა შევეხოთ ამ კითხვას.

საზოგადოებრივი და აღმინისტრაციული ორგანოები საესეა მოხელეებით, 3-4 პირი მუშაობს იმ დროს, როცა ორი სავსებით გაუწვდებოდა მათზე დაკისრებულ საქმეს. მუშაობაში, აღმშენებლობაში უდარდებლობა და საქმისადმი უყურადღებობა მეფობს. ევოლიუციის პირველ დღეებში ყველა მაღალი თუ დაბალი თანამდებობის მოხელეს, რევოლიუციონურ ორგანოების წინაშე პასუხისმგებლობის, შიმ, ქონდა და იმ დაურდგომელ და გარდამავალ ხანაში ყველა დაწესებულებაში მუშაობა უფრო ინტენსიური იყო ვიდრე დღეს.

დღეს თანამდებობის პირს არაფერის არ ეშინია, ყველგან ბოროტ-მოქმედება და დაუდევრობა არის გამეფებული და დამნაშავის სკამზე თითო-ოროლა ზის, უმრავლესობა კი თავს არხენათ გრძობს და პარაზიტულ ყოფას განაგრძობს.

სამმართველო და საზოგადოებრივ აპარატების გაჯანსაღება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეკონომიური ცხოვრების გასაჯანსაღებლად. ეკონომიურ კრიზისის წინააღმდეგ გავრთიანებული ფრონტი უნდა შეიქმნას. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ ბრძოლაში. სახელმწიფოებრივი პოლიტიკური და ეკონომიური აპარატის ყველა შემადგენელი ნაწილები გადასინჯული უნდა იქნას, ხორცმეტები, დაჟანგული და დაძველებული ნაწილები უნდა მოვიცილოდ, რომ სახელმწიფო მანქანამ წესიერათ იმუშაოს.

მთელი მხარე რევოლიუციონურ შრომის დისციპლინაში უნდა ჩავყენოთ და სასტიკი პასუხისმგებლობა მოვსთხოვოთ ყველას.

უდარდებობას და გულგრილობას ბოლო უნდა მოეღოს. ამ საქმის მოგვიარებაში არავითარ რებრსიებს არ უნდა მოვერიდოთ, ყველა ვინც თავისი გულგრილობით და დაუდევრობით საბოტაჟს ეწევა, და მით ეკონომიური ცხოვრების აწეწ-დაწეწას უწყობს ხელს, სასტიკათ უნდა იქნას დასჯილი, ვინც არ უნდა იყოს ის.

მკაცრი შრომის დისციპლინის შემოღება მომენტალურად უნდა დაიწესდეს და საგანგებო პოლიტიკიდან, რევოლუციონარული საშუალებების გამოყენებით, სიტყვების კორიანტელს თავი უნდა დაეხსნოს და საქმიანობას უნდა მივყოთ ხელი.

მ. წ—ძმ.

საღლისო შანიშნავი.

რუსული კომუნიზმი და ევროპის მუშათა კლასი.

ჩვენ მუდამ იმ აზრის ვიყავით, რომ მხოლოდ ადგილობრივად გაცნობით შეიძლება რუსეთის კომუნიზმის კარგი და ცუდი მხარეების დაფასება. ჩვენ, რომლებიც კომუნისტური სამოთხის მებოძოთ ვცხოვრობთ, თავიდანვე მრავალი საბუთი გვქონდა, რუსეთის დღევანდელი მმართველების პოლიტიკა შესაფერაო დაგვეფასებია. ეს არ შეიძლება საესებით ითქვას ეროპის მუშათა კლასზე მანამ, სანამ რუსეთი ბლოკადის რკინის სალტეებით იყო შეკრული და იქ არავის შეეძლო შესულიყო ან ევროპაში გადმოსულიყო, ბოლშევიზმი ერთგვარი ძლევა-მოსილების ორეოლით იყო შემოფარგლული ევროპიელ მუშის აზროვნებაში.

ბევრს, ევროპაში, იდეალურად მიაჩნდა საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილება, რადგან ვერ გავგრა ბოლშევიზმის სამი წლის ბატონობის საშეალებების საიდუმლო.

ფიქრობდნ: ალბათ კარგათ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში, რომ კომუნისტების რეჟიმმა ამდენი მტრების თავდასხმის გაძლო.

ყველა ეს ადვილი გასაგებია. რუსეთიდან ათასი ვერსზე დაშორებით ძნელია ყველა იმ პირობების წარმოადგენა, რომელიც საშეალებას აძლევს კომუნისტურ რეჟიმს დღემდის იარსებოს.

როგორც კი საბჭოთა რუსეთის წარმოადგენლებს საშეალება მიეცათ ევროპაში ჩამოსულიყვენ და საბჭოთა რუსეთთან ერთგვარი დამოკიდებულება ჩამოვარდა, ფარდა აეხადა რუსეთის სინამდვილესაც.

ის, რაც გუშინ საიდუმლოებას წარმოადგენდა, დღეს აშკარა გახდა—რუსეთის ყოფის სინამხინჯე და საშინელება ყველამ დაინახა და ერთგვა, რი გამოაზიზილება შეიტანა ევროპის მუშათა კლასში.

ისინი კი, ვინც გუშინ ხოტბაქებას ასხამდა საბჭოთა მთავრობას, იძულებულნი არიან სინამდვილეს ანგარაში გაუწიონ. „რუსული კომუნისტების აუადმყოფობა“, რომელიც ლამს იყო მთელ ევროპას მოედვა, შენგდა, ევროპის მუშათა კლასი გადურჩა მას. ამაში უმნიშვნელესი როლი ევროპის მუშათა დელეგაციებმა ითამაშა.

ევროპის სოციალისტებმა, რომლებშიც ობიექტივობის, მოუდგომლობის გრძობა კიდევ არ მომკვდარა, სასტიკი, განმანადგურებელი განაჩენი გამოუტანეს საბჭოთა რეჟიმს. ევროპის სოციალისტებზე „პროლეტარიატის დიქტატურის“ რუსულმა სისტემამ, მკაცრმა ცენტრალიზაციამ და სამოქალაქო ომის საშინელომა შედეგებმა მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა და ამ რეჟიმის უარყოფითი დაფასება გამოიწვია.

ევროპის სოციალისტები ამავ დროს მიუხვდნ, რომ მოსკოველ მმართველებს, რუსული განწირული კომუნისტის გადარჩენა სურთ ევროპის პროლეტარიატის ხარჯზე. ძალა-უფლების შენარჩუნება, რა ფასითაც და რა საშეალებითაც იქნება,—ი საით არის მიმართული საბჭოთა მთავრობის მთელი ყურადღე-

ბა და ამისათვის იყენებენ რუსი კომუნისტები მოსკოვში შექმნილ ინტერნაციონალსაც.

რუსული კომუნისტების ხელმძღვანელები გრძობენ, რომ მხოლოდ მათი მეთოდების გადაღებით და უსიტყვო შესრულებით თუ გაუწვევენ ევროპის მუშათა რაზმები მათ რევოლუტარ დახმარებას, თორემ მხოლოდ სიტყვით შესვლა მესამე ინტერნაციონალში იოტის ოდენა სარგებლობას არ მოუტანს მათ. ამიტომ არის, რომ ასე თავგამოდებით მოითხოვდა მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი გერმანულ დამოუკიდებლობისაგან მოსკოვის პირობების უსათუოდ მიღებას.

ევროპის მუშათა კლასის რუსულ ავანტიურაში ჩათრევა, ევროპაში სამოქალაქო ომის ცეცხლის დანთება—აი რით შეიძლება მოსკოვის კომუნისტების გადაჩენა. ქაოსით, დაუდრგომლობით და არც დაბრუნებით საზრდოობს რუსულ საბჭოთა ძალა-უფლება. ევროპაში ასეთივე მდგომარეობის შექმნით მოსკოვი ორ კურდღელს მოკლავდა: თავის თავს გადააჩენდა და ევროპაში შექმნილ ქაოსში თავისი წითლ ჯარის საშეაღებით თავის იმპერიალისტურ მიზნებს განახორციელებდა.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის ცხოვრების და კომუნისტების ბატონობის მეთოდების გაცნობამ სრულიად გამოაკალა ნიადაგი მოსკოვის სოცნარკომის ოცნებას.

დღეს უკვე ყველასათვის აშკარა არის, რომ ევროპაში კომუნისტური ექსპერიმენტების გამეორება, ისეთივე, და შეიძლება უფრო საშინელ შედეგებს მოიტანდა როგორც რუსეთში.

ასე ამრიგად რუსეთის სინამდვილის გაცნობამ სულ წინააღმდეგი შედეგები გამოიღო ვიდრე კომუნისტები ელოდნ.

მ — 60.

პროზისა.

დებუტატი აკაკი ჩხენკელი, დამუკუნებელი კრების წევრები ბ. ბ. იმნაიშვილი, ნუკუბაძე და რეჯებბეგ ნიყარაძე გოშინ დილის მატარებლით ქობულეთს გაემგზავრნენ, დებუტატი აკაკი ჩხენკელი ქობულეთლებმა მიიწვეს თავის ყრილობაზე.

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა განცხადებები გაავრცინა თბილისის გაზეთში დასაბეჭდად, რომ თვითმართველობა წვევს ქალაქ ბათუმისათვის სამს უბნის მომრიგებელ მოსამართლეს. მალე მოსამართლეთა არჩევნები მოხდება.

ქალაქის საქმეები. 13 ოქტ. საღ მოს შესდგა საბჭოს საავტორიტეტული — იურიდიული კომისიის სხდომა. თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ა. გ. მაგროპულო, მის ამხ. ნ. ლ. მიქელაძე, მდივნად მ. ჯიბლაძე. კომისიამ განხილა ტერ-აკოპოვის თხოვნა, რომელიც იხზოდა ნავთის აუზის დასადგამ ადგილს „ნავთის ქალაქის“ ხაზს გარეშე. კომისიამ სავალდებულო და გენერატების მიხედვით (§ 32 გ. 1 და 2) უარი უთხრა ტერ-აკოპოვს. კომისიამ განიხილა ტერ-აკოპის გოტოვკინა თხოვნა და მთელი საქმე და ის დასკვნა გამოიტანა, რომ გოტოვკინას ქალი ქალაქის თვითმართველობის ყოფილ მოსამსახურედ უნდა ჩითვდოს და მას შესაფერისი უფლებები უნდა მიენიჭოს.

13 ოქტომბერს შრომის ბირეში გამოცხადდა 44 უმუშევარი (18 მამაკაცი და 26 ქალი), ჩაეწერა კიდევ 12 უმუშევარი.

ს ე კ დ ა უ ც ხ ო ე თ ზ ე

მზის ბრწყინვალეობა და ცის სილამაზადე, უსაზღვრო სივრცე, ზღვის პერსპექტივა, და ლტოლვა მის ტალღებს გაყვე, ჩაბარდე გული რაღაცას ისე შეტკივა.

თეთრი ყვავილებს ნაზი სურნელები ქარის ქროლვაზე ყანების ძილი, და სურვილთა ცეცხლის ვერდენელება უცხოეთამდის დიდი მანძილი.

შორეული სახე დიდი ბერლინის რომის, პარიზის და ვახარება, აჩრდილი ჩუმი ფრანგ პოლ ვერლენის, და ვერ მიწვდომა და მწუხარება.

ვალერიან ზღვისპირელი.

13 ოქტ. საღამოს დანიშნული ბინების საქმეთა მრმწყობ საბჭოს კომისიის სხდომა ვერ შესდგა, რადგანაც შვიდი წევრისგან მარტო სამი გამოცხადდა.

ინჟინერმა ბ-ნა გიორგობიანმა წინადადება მიიღო სავანგებო კომისიისაგან შეუდგეს ყოროლისთავის და ორთაბათომის ხიდების გაკეთებას, მუშაობისთვის ინჟინერი თანხას მიიღებს იმ ჯარიმიდან, რომელიც სოფლებს გადახდა.

ადმინისტრაციის მეთაური პოლკოვნიკი ვ. სულაქველიძე საბინაო კომისიას აუწყებს, რომ ბათუმში სამილიციო და ოლქის სადმინისტრაციო საშენობელოები უაღრესად შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, ალავ ალავ შენობის ჩამონგრევაც არის მოსალოდნელი და ითხოვს საწრაფოდ მათთვის შესაფერ ბინების მიცემას.

საბინაო კომისიის წევრმა აეჩისიძე გალადემ დროს უქონლობის გამო თავი გაანება საბინაო კომისიას. საბინაო კომისიამ შეყვანილ იქნა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები ბ. საბაშვილი და კორძია.

საბინაო კომისია გადავიდა ქალაქის თვითმართველობაში, რომლისაც საერთო ხელმძღვანელობას გაუწყეს ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ლევან ქორქაშვილი, ბინათა რეკონსტრუქციის უფლებანი თანხმად ცენტრის განკარგულებას, დაჩხსავ ნგებო კომისიარის ხელში. საბინაო კომისია მუშაობს დილს 9 საათამდ დილს 3 საათამდე და ნაშვადღვის 4 საათამდ საღამოს 7 საათამდე.

ქალაქისა და რესპუბლიკის ტერიტორიიდან გაძევებულ იქნენ საბჭოთა რუსეთში ი. კვაჭანტირაძე და სავანგებო კომისიარის კანცელარიის მოხელე ჩხაკაბია. იმავე კანცელარიის დარაჯი მგნაბდე, ორი თვით დატუსაღების შემდეგ გაიგზავნება ოზურგეთში.

სოხუმის კომისარმა თხოვნით მიმართა ბათუმის და მის ოლქის კო-

მისარს, რათა ბერძენ ლტოლვილებს აფხაზეთის სამიწადმოქმედო კომისიების უნებართვოდ არ მიეცეს აფხაზეთში წამოსვლის ნება, რადგან ზოგიერთთა მიწები სამიწადმოქმედო კომისიებმა უკვე გაყიდა.

ქალაქის საავტორიტეტული ადმინისტრაციამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქის გამგეობას, რათა მიეცეს საავტორიტეტული საჭირო კრედიტი სურსათ-სანოვავის შესაძენად.

ექიმ არტახიანი განთავისუფლებულია სადენინფექციო რაზმის გამგებლობისაგან, მისი მოვალეობა დაეკისრა ექიმ გეგელაშვილს.

წარსული დღის განმავლობაში შავი ჭირის შემთხვევა არ ყოფილა.

განათავისუფლენ და რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევებულნი იქნებან შემდეგი სპეკულიანტები: ნოკიციკა, პეჩერსკი, როზენბერგი, კობრინსკი, აპოსტოლიდი, გურალნიკი, ხეივლი, ჩემბერჯი, ხარლამბიდი; გ. და ე. ტახის და ცუხნიკასი.

ჩვენს რედაქციაში შემოვიდა აგილობრივი და თბილისის გაზეთების გამოცემული ე. ნ. ვაკულინი, სამოცი წლის მოხუცი, და შემდეგი განცხადება:

12 ოქტომბერს იმ ბინის პატრონს. სადაც ის ცხოვრობს, ვასაღები გაუტენეს და მისი სიტყვით ტანისამოსი და სხვა ნივთები მოპარეს. იქვით დააპატიმრეს ე. ნ. ვაკულინი, მისი სიძე და 4 იმ ეზოშივე მცხოვრები სომეხი. მესამე კომისარიატში ყველა ამათ საშინლათ სცემა კომისარმა. საბრალო მოხუც პირის სახე და თვალები ცემით სრულიად დაღურჯებული აქვს. მარტო პირზე ცემით არ დააკაყოფილენ და კომისარს 60 მოხუცი წაუქცევია და ფეხებით უცემია, ასევე მოპყრობია ის მის სიძეს ლ. ფ. ნონოვიცკის. მივამტყვევთ რა მესამე უბნის კომისარის ისეთ უმსგავსო საქციელზე მათ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, იმედი გვაქვს, რომ ის სამართლიანად იქნება დასჯილი.

კავალისტავის თავდასება სოხუმში.

სოხუმის რესპუბლიკის ბათუმის გენერალური საკონსულოს სინფორმაციო განყ. ცნობა.

ფრონტში.

13 ოქტომბერს სარიყაშიშის მიმართულებით ჩვენი ჯარების მარჯვენა ფლანგზე ოსმალთა ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ სოფ. ვიარმალიზე. ბრძოლა გრძელდება.

ყარსის ოლქში, ნახიჩევანის მიმართულებით, ჩვენმა ჯარებმა ქურთების ბროებისაგან გასწმინდეს სოფ. ნახიჩევანი—ზირჩი, ზიბნი.

პრივანში.

საბჭოთა რუსეთის სრულ-უფლებ-

ბით, რომელიც სექტემბერში გამოქვეყნდა თითოეულ 60.000 აზრჩვეულზე ერთი დებუტატი იქნება. ამ რიგად პრუსიის ახალ ლანდტაგში 410 დებუტატის მაგიერ 300 დებუტატი იქნება.

დამოუკიდებლობის პროტესტი.

ნაუენი. 11 ოქტ. დამოუკიდებელთა ორგანო „ფრაიპიტი“ პროტესტს აცხადებს მოსკოვის ცნობების წინააღმდეგ, რომელშიც შრომის შეურაცყოფა არის დამოუკიდებელთა პარტიის მიმართ. დამოუკიდებლობის სურთ მოსკოვის ინტერნაციონალის ტყვეები გახდენ; პარტიულმა ყრილობამ უნდა უთარყოს მოსკოვის ყველა მოთხოვნილებანიო—ამბობს „ფრაიპიტი“.

ინგლისში.

ნიუიორკში ბირჟის აფეთქების და გენუში ასეთივე აფეთქების მოწყობის ცდის შემდეგ ინგლისის მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები ლონდონის ბირჟის დასაცავად.

შრომის საერთაშორისო შტაბი.

ამსტერდამი. გაზ. „Algemein Handelsblad“—ს ატყობინებენ ლონდონიდან, რომ ტრედ-უნინების კონგრესზე პორტსმუტში—4.884.000 ხმის უმრავლესობით 1767.000 ხმის წინააღმდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია შრომის გენერალური შტაბის შექმნის აუცილებლობის შესახებ, ყველა პროფ. ორგანიზაციების შეთანხმებულ მუშაობის მოსაწყობად.

საფრანგეთში.

მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

„გავასის“ საავტორიტეტული იტყობინება, რომ საფრანგეთის რკინისგზელთა კონგრესმა 2386 ხმით 199 წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გამოხს უკიდურეს მემარცხენათა მოქმედებას. რკინის გზელთა გენერალური მდივნათ არჩეული იქნა ბილდგარაიე, რომელიც ზომიერ ფრთას ეკუთვნის.

საქსოვ ქარხნების მუშათა წარმომადგენლების შექმნეს ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია შესამე ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ. რეზოლიუციას ხმა მისცა 118 კავშირის წარმომადგენელმა (5266 ხმა), წინააღმდეგ 20 პროფ. კავშირის წარმომადგენელმა (377 ხმა.)

ლიონი. 2 ოქტ. სოციალისტური კონგრესზე ორლენში ხმების დიდი უმრავლესობით დაადგინეს შედგენილ იქნას მუშათა საყოველთაო კავშირი უკიდურეს ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლავა.

გადასახადების პრესი საფრანგეთში.

ლიონი 1 ოქტომბერი ბრიუსელის კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენლებმა მოახსენეს, რომ წონასწორობს დადგარებას ბიუჯეტში მიაღწიეს იმით, რომ შემოვიდნენ გადასახადთა ახალი სისტემა, რომლითაც შემოვიდა 7.913 მილიონი ფრანკი, რაც შეადგენს 574 ფრანკს სულზე. 1913 წელს კი გადასახადები სულზე შეადგენდა 129 ფრანკს. გადასახადები შემოსავლის კვალობაზე საფრანგეთში გადიდებულია 370 პროცენტით.

ჟან ლონგეს წერილი.

ჟან ლონგე გაზ. „Popular“ სწერს: როცა ჩვენ ვკითხულობთ უკანასკნელ მოსკოვის რადიოში, რომელიც გუშინდელ „Daily Nerald-ის“ ნო-

უცხოეთში.

ბერლინიში.

პრუსიის სარჩევნო კანონი. არუსისისთვის სარჩევნო კანონე

მერში გამოქვეყნდა, რაღაცას ბრძანებისებურს, რომელიც ჩვენ იტალიელ ამხანაგებს, (მესამე ინტერნაციონალის) პირველ და ძველ მომხრეებს გავგზავნა და რომელშიც აღმასრულებელი კომიტეტი მკაცრად მიუწოდებს წყაროებისაკენ, როცა ისინი დიდ დაბრკოლებათა წინაშე დგანან, ჩვენ გვაქვს საფუძველი შეწყობილი ვიყოფ.

ტურინის და მილანის ამგებების შემდეგ, მოსკოვი აცხადებს, რომ „იტალიის სოციალისტური პარტია მეტად ირყევა. იმის მაგიერ, რომ მასების მოძრაობას ორჯონიძისტიული ხასიათი მიხედვს, ეს ისტორიის მასებს ანარქისტებს აკენ და ასუსტებს თავის ავტორიტეტს, და ეს ხდება იმიტომ, რომ „პარტია გაქუჩიანებულია რევოლუციონისტულ და მოლიბერალურ ელემენტებით“. როცა სინდიკატებს ლანდლავენ იმიტომ, რომ ისინი „განაგრძობენ ამტყარდამის ყვითელ ინტერნაციონალში ყოფნას,“ ეკითხები თავის თავს, წარმოსადგენია თუ არა ეს მუდმივი და მიკროკოვებული ჩარევა ამხანაგების, რომლებიც განცვიფრების ღირსია, მაგრამ, რომლებიც 2-3 ათას კილომეტრზე იმყოფებიან მოქმედების ასპარეზიდან, რომელსაც ისინი არჩევენ და სჯიან.

სხვა და სხვა ამბები.

განაპირა სახელმწიფოების კონფერენცია.

უკრაინის ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ განაპირა სახელმწიფოების თათბირმა რიგაში დაამთავრა თავისი მუშაობა. კონფერენციის თავმჯდომარემ ულმანისმა თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა, რომ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც განაპირა სახელმწიფოების ისე აღმოსავლეთ ევროპისათვის, რადგან მან ხელი შეუწყო ზოგიერთ სახელმწიფოთა შორის ზავის ჩამოგდებას. კონფერენციის დადგენილებებს დიდი მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობის განვითარებაზე.

ჩრდილო პავანსიაში.

დაღესტანელ კომუნისტების თათბირი.

გაზ. „ვოლნი გორეცის“ ცხოვრებით აგვისტოს ბოლო რიცხვებში თემირ-ხან-შურაში შესდგა დაღესტანელ კომუნისტების ფარული თათბირი. ამ თათბირზე წინათლათ გამოირკვა ორჯონიძის უკმაყოფილება დაღესტანელ კომუნისტების რბილი პოლიტიკით, რის დამამტკიცებელია ლმობიერი მოპყრობა „შარიათისადმი“.

ორჯონიძემ აღშფოთებული იყო იმ აურებელი ფულების რაოდენობით, რომლებიც შარიათის სასამართლოებზე დახარჯა.

მან მიუთითა, რომ შარიათის სასამართლოები საბჭოთა მთავრობას თერგის ოლქში არაფერი არ უზის და სულ ახლო მომავალში ეს სასამართლოები სრულიად მოიშობა.

იმავე თათბირზე ორჯონიძემ განაცხადა, რომ მას ცენტრალურმა მთავრობამ უფლება მიანიჭა თუ საქირო დარჩა გამოაცხადოს მთელი და მოუკიდებელი რესპუბლიკა. ამ საკითხზე აზრთა სხვა და სხვაობა გამოიკვეთა. მთელი კომუნისტები დამოუკიდებლობის გამოცხადებას უდროით სთვლიდნენ. დამოუკიდებელი მთელი რესპუბლიკის სასარგებლოდ სატყვე წარმოსტევა განათ-

ლების განყოფილების გამგე-კოვლიოვმა. ამაზე, მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დამცველს ორჯონიძემ, „ტომბოველი მთიელი“ უწოდა.

კომუნისტური „თვითგამორკვევა“ აი სია იმ პირების. რომლებიც დაღესტანის ბედ იღბალს განაგებენ:

სახალხო განათლების განყ.—კოვლიოვი, ჯანმრთელობის განყ.—საგრაღანი, სამიწად-მოქმედლო განყ.—ახუნდოვი, გზათი უწყების—ლაიხტერი, სასურსათო განყოფ.—გოლდშტეინი, ჩეკას ფაქტიური თავმჯდომარე, იკივე რეგტიბუნალის თავმჯდომარე—ისავეი, დაღესტანის ვოენკომი—სმირნოვი, პოლიტიკური განყოფ. გამგე—შეხალდაევი, სოციალური უზრუნველყოფის—ორლოვი, შარიათის სასამართლოს განყ.—ოსმან ოსმანოვი.

ამ რიგად „დაღესტანის მთავრობაში“ მხოლოდ ორი დაღესტანელია: ოსმან ოსმანოვი და ახუნდოვი. დაღესტანელ ბოლშევიკებს შორის.

„ვილ გორეცის“ ცნობით იმაპატის მოძრაობა, რომელსაც ნადემუჩინ გოცინსკი ხელმძღვანელობს ზემო ავარიში დღითი-დღე იზრდება, რაც დიდ შიშინაობას იწვევს დაღესტანელ ბოლშევიკებში. თემირხან-შურაში სამხედრო მზადება დაიწყეს, აწყობენ სამხედრო ნაწილებს, ნადემუჩინ გოცინსკისთან საბრძოლად.

საშა გეგეკორის „პოპულიარობა“.

იმ დროს, როცა ჩრდილო-კავკასიელი კომუნისტები, რომელთაც აფიქრებს ხვალინდელი დღე, სცდილობენ შეამსუბუქონ ბოლშევიკური რეჟიმი, ცენტრიდან ჩამოსული ბოლშევიკები, ბრძოლის გუნებაზე არიან და ადგილობრივ თანამომხმეებს სირბილეს და ოპორტუნისტობას უკითხებენ.

განსაკუთრებული პოპულიარობით კავკასის „ბურჟუაზიაში“ არგებლობს საშა გეგეკორი, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე დახმარებისათვის, რადგან მას გავლენა აქვს საბჭოთა სფეროში და არ ეშინია შეეცადოს თვით უძლიერეს ჩეკას.

ამ ხანებში იყო ასეთი ინციდენტი. ჩეკამ (კავკასი) ლორის მელიქოვის ქუჩაზე ბინიდან გამოაგდო ერთი „ბურჟუაზიული“ ოჯანი. ოჯანმა დახმარებისათვის საშა გეგეკორს მიმართა. საშა გეგეკორმა ისინი თავის ნებით დააბინავა ძველ ოთახში. ჩეკა იძულებულ იყო კუდი ამოეძებებია და გაჟიმბულიყო.

უ ი რ ი შ ი.

გენ. ბრუსსო. ყირიმში მოვლიან საფრანგეთის მთავრობის მიერ დანიშნულ სამხედრო-საზღვაო მისიას, გენ. ბრუსსოს მეთაურობით.

გრაფი დე-მარტელი. გრაფ დე-მარტელს, საფრანგეთის ყოფილ წარმომადგენელს ამიერ-კავკასიაში, ყირიმში ათ ოქტომბრისათვის მოვლოდნენ.

პროფ. გელევიგის გარდაცვალება. 2 ოქტომბერს სევასტოპოლში გარდაიცვალა თავრიდის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი რ. ი. გელევიგი.

ერანგელის ბრძანება. გენ. ერანგელის ბრძანებით სათაობი მასალის ეკონომისათვის 13

ოქტომბრიდან საათის ისარი ერთი საათით უკან დასწიეს.

ზრანგელი და შაკინა.

ამ ჟამად ყირიმში იმყოფება რამდენიმე უკრაინელი მოღვაწე, რომლებიც თავის თავს უკრაინის ნაციონალურ დელეგაციას უწოდებენ. ეს დელეგაცია იცავს უკრაინის რესეთთან ფედერაციას და ჩამოვიდა ამ საკითხის შესახებ ვრანგელის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, გენ. ვრანგელმა ამ საკითხის განსახილველად განსაკუთრებული თათბირი დანიშნა, რომელშიც უკვე გამოიმუშავა ზოგიერთი დებულებანი, რომელიც საფუძველად უნდა დაედგას ვრანგელის ეროვნულ პოლიტიკას და კერძოდ უკრაინის საკითხის გადაჭრას.

მოგვეყავს ზოგიერთი ამთავანი:

ბ) სამხრეთ რუსეთის და უკრაინის განთავისუფლების დროს მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომები ყველა პირველყოფილი რუსული ნაწილების, გალიჩინის, ბუკოვინის და სხვ. გასაერთიანებლად.

ზ) დემოკრატიულ საფუძველებზე აღდგენილ რუსეთის დეცენტრალისტურათ მოწყობის აუცილებლობის გამო, საქირაა მიეცეს მალორუსულ მიწებს—უკრაინას, ნოვოროსიას, გალიჩინას და სხვ. ფართო ავტონომია ადგილობრივ საკითხების შესახებ კანონმდებლობის და კულტურულ თვითგამორკვევის უფლებით.

ე) ზემოთ აღნიშნულ ოლქებში ცნობილი უნდა იქნას ადგილობრივ უკრაინულის და საერთო სახელმწიფოებრივი რუსული ენის სწორუფლებიანობა.

ზრონტში.

ვრანგელის შტაბის 2 ოქტ ცნობა. დამატებითი ცნობებით, ჩვენმა ნაწილებმა ვოლნოვახიდან ჩრდილოეთით 1-2 ოქტომბრის ბრძოლებში ხელთ იკაღეს 2000 ტყვე, ერთი ზარბაზანი და ტყვიის მარქვეველები.

სინელნიკოვის მიმართულებით, ჩვენმა სახელოვანმა ცხენოსანმა და ქვეითა ჯარმა გაანადგურა წითლების სინელნიკოვის ჯგუფი.

ხელთ ვიგდეთ წითლების ჯავშონები: „ამხანაგი სვერდლოვი“, „ჩურკინი“ და „ერმაკი“, 2000 ტყვე, 3 ყუმბარების საფე ყუთი, მრავალი ტყვიის მარქვეველები, 3 მატარებლის შემადგენლობა, გადასახიდი საშალებები და სხვა სამხედრო მასალა; ტყვეთ ჩავვივარდა აგრეთვე ბოლშევიკების მსროლელთა დივიზიის და ბრიგადის შტაბები მთელი შემადგენლობით, სრულიად გავანადგურეთ თათართა კომუნისტური პოლკი.

ქართულ გუსულგანთა საუკრადლოდ.

წარმოიდგინეთ პატივცემული მოქალაქენო 1000 ასჯერ ჩვენი ხალხის მოტყულება მტერთაგან დაკლებულ ავანტიურისტების მიერ. ჩვენ გვესმის: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდა, ხალხი მოქმედობსო? სწორეთ რომ საკვირველებია? ჩვენ გვესმის: „ხალხი ემსახურება ნაციას, მათ სურთ თავისუფლება და ამისთვის იბრძვიანო? ჩვენ კი არ ვცდილობთ? ჩვენ ვაზრიანდებთ დროშას ტანჯვის ზვირთებისაგან აღმართულს.

ხალხი აღ'დგაო, ჩვენ კი დამდვარი ვართ განა? ჩვენ, ერთ წერტლზე უნდა ვიქნეთ გაჩერებული

კულტურის მართ? ეს თორეობა მინდება? ჩვენი ძველები განა ამას ემსახურებოდნენ? ჩვენ მქსხეთისაში ლები ვიყოფო, რომ ვიკავდით დედა საქართველოს დამოუკიდებლობასამისი მტრებისაგან. ჩვენი ძველები ხრდიდენ ძლიერა მოსილ მხედრობას, მსოფლიო გენიოსებს. გაიხსენეთ ეს დღეს.

ხალხი მოქმედებსო? და ჩვენ კი განა გვძინავს! ჩვენ ოფლით არ ვოწყუფეთ? ჩვენ არ ვიბრძვი, თავისუფლების შემბოქველ ავანტიურების წინააღმდეგ? სწორეთ რომ საკვირველებია! გვეუბნებან ისინი ნაციას, თავის მიზანს ემსახურებიანო! ჩვენ განა მიზანს არ ვემსახურებთ, ჩვენ ქართველები არა ვართ! სირქვილი ძმებო! ზიხლი სიყალბე!— გაქრეს მრულე გზით მავ ლნი.

თავისუფლება სურთო? და ჩვენ განა ქერ ქვეშ ცხოვრება გვინდა? ბოკილების გაყრა? ჯოჯოხეთის აღში გახვდვი?! ნუ აყვებით ფენის ხმას, მოიხედაეთ უკან.

ბატონებო! დღეს მზანს მივადწიეთ. ძმას ძმა ამოუდგა გვერდში, დედას შვილი ჩაუვარდა კალთაში. მძმე ცხოვრების ქაპანს დღეს ერთად ვსწევთ. ერთი ინტერესებისათვის ვიბრძვით. მიზანი მიღწეულია, მაგრამ დღეს მარი აზრი ტრიალებს. ერთი ის, რომ საქართველოსთან შეერთების მოღვაწეებს ზოგს ავტონომია არ სურთო და ზოგიც ავტონომიისთვის ცდილობსო? არც ერთი და არც მეორე სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენ ვმუშაობდით ქართველ მუსლიმანთა განმანთავისუფლებელ კომიტეტში, პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებსასამტკიცებლად. დღეს ეს საქმე მო-ჩენილია. ჩვენ თავისუფალი ვართ მათგან. ჩვენ დღეს ვიწყებთ იდეალურ მუშაობას ჩვენი ბედ იღბლის გაქედვას,სასიცოცხლო ინტერესებისათვის ვიბრძვით.

ჩვენი მიზანი არის სვლა და მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთა საქართველოს სოციალ, დემოკ. პუშითა პარტიის პროგრამით. ჩვენი მშრომელი ხალხი მხოლოდ მათთან გაერთიანებით,დემოკრატიული, საყოველთაო ფარული კენჭის ყრის მიცემით, დემოკრატიული წყობილებას შემოიღებთ და განმტკიცებით იქნება ბედნიერი.

ხასან თხილაიშვილი.

თიასტი და ხელოვნება.

გასო შრუშაძის საღამო. დღეს შმავესკის თეატრში ცნობილი მსახიობი, განსაკუთრებულ წამკითხავი სცენების და კუბლგტების, ვასო ურუშაძე მართავს თავის საღამოს „სიცილ-ხარხარისას“. რისთვისაც განსაკუთრებით მოწვეულნი ყავს ქანი კატო რუხუაძისა, დამსახურებულ მსახიობი—კუბლგტისტი მიხ. ნემო, ახალგაზდა—დრამატიული მსახიობი შალ. ჯაფარიძე, სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება პირველათ ორი ახალი კომედია „ჰუ, ქე არ დეიღუბა ხუცვისი“ და „მესამე ცოლი გრიგოლ კროქისა“. ორივე კომედია საუკეთესო ნიმუშია იმერეთის ცხოვრებიდან ამოდებული. კომედიები დაიდგმება ავტორთა მონაწილეობით და ხელმძღვანელობით, პროგრამა შედგენილია ცოცხლოთ და მოხთენილათ, რაც გვიბრდება დარჩეს საინტერესოა.

სარედაქციო კოლეგია.